371(02)
ს-752

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოხაძე ნინო პეტრეს ასული

# სამშობლოს სიყვარულის აღზრდის საკითხები აკაკი წერეთლის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში

13.00.01 - პედაგოგიკის თეორია და ისტორია

სადისერტაციო მაცნე
პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი - 1993 წ.

შრომა შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

მეცნიერ-ხელმძღვანელი - პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი - გ. საყვარელიძე

ოფიციალური ოპონენტები: 1. პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ა. ციმაძე
2. პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ო. ჩიჩუა

დაცვა შედგება "25" I 1994 წ. 12 საათზე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალიზირებული საბჭოს 13.00.ნ № 13-1 სხდომაზე (თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 3) დისერტაციის გაცნობა შეიძლება ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

მაცნე დაგზავნილია 1993 წლის "25" ----------

სპეციალიზირებული საბჭოს სწავლული მდივანი, პროფესორი / ჯ. ბერიშვილი /

Библиотека Тбилисского гос. педагогического института иностранных языков им. И. Чавчавадзе

- 1452 -

თემის აქტუალობა. დღევანდელ საქართველოში, როცა რესპუბლიკა დაადგა დამოუკიდებელი განვითარების გზას, როცა უამრავი სიძნელეები დგას მის წინაშე, - ეროვნული სკოლის მთავარი ამოცანაა აღზარდოს ღრმა და მტკიცე ცოდნით აღჭურვილი, ზნეობრივად ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე ამაღლებული ახალი თაობა, რომელიც შეძლებს თავი გაართვას საქართველოს მომავალი ამაღლებისა და განვითარების ძნელსა და რთულ საქმეს.

ძველმა, საბჭოურმა სკოლამ, რომელიც ცდილობდა ეროვნული გრძნობებისაგან დაეცალა ახალგაზრდობა და მათი გაუცხოება გამოეწვია, უამრავი ნაკლი და სიძნელე დაუტოვა ეროვნულ სკოლებს. უპირველეს ყოვლისა მან დიდად დააზარალა ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდის საქმე. გააპატონა შური, კაცთმოძულეობა, ურთიერთმტრობა და სიძულვილი. ფართო ვაქანება მიეცა ქრთამს, მომხვეჭელობას და ადამიანთა დიდი - ნაწილისათვის პირადი ინტერესები სამშობლოს ინტერესებზე მაღლა იქნა დაყენებული.

ამ მანკიერებათა აღმოფხვრა სკოლისა და ოჯახის მუშაობის ძირეული გარდაქმნის გზითაა შესაძლებელი. სკოლამ და ოჯახმა მთავარი ყურადღება ახალგაზრდობის ზნეობრივი ამაღლებისა და თითოეულ მათგანში სამშობლოს სიყვარულის მაღალი გრძნობის აღზრდა უნდა დაუთმოს.

სამშობლოს სიყვარულის აღზრდა იმდენად აქტუალურია, რომ საზოგადოებრივი განვითარების ისტორიის მანძილზე, ყველა დროსა და ეპოქაში მას გვერდს ვერ უვლიდნენ კაცობრიობის გამორჩეული მოაზროვნეები, ხოლო პედაგოგიკის კლასიკოსთაგან ამ პრობლემასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ჟან-ჟაკ რუსოს, ი. ა. კომენსკის, ჯ. ლოკს, კ. დ. უშინსკის, ი. გოგებაშვილს, ი. ჭავჭავაძეს და სხვებს. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის, მწერლისა და პუბლი-